თბილისის არქიტექტურა

ბრძანება № 2271

" 16 " 06 2014

ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 28.02.08 წ. №6/184 ბრძანებაში და 6/184-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

03.06.11 წელს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს №12/65976-13 განცხადებით მომართა შპს „სიგმა-გეო“-ს დირექტორმა ჯემალ აბელაშვილმა და მოითხოვა ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 28.02.08 წლის №6/184 ბრძანებაში დამკვეთად შპს „სიგმა ლაინი“-ს ნაცვლად შპს „სიგმა გეოს“ მითითება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 31.03.06 წელს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ ქალაქ თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ქ. წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქუჩა №50/18-ში მრავალფუნქციური კომპლექსის ასაშენებლად დადგინდა №კ-1/15 ქალაქთმშენებლობითი პირობები. №კ-1/15 ქალაქთმშენებლობითი პირობები გაცემულია 16 930კვ.მ მიწის ნაკვეთზე, №1/17/13/41/6 საკადასტრო ერთეულზე. 05.08.06 წელს ქალაქ თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ქეთევან წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქუჩა №50/18-ში №20/534 ბრძანებით შეთანხმდა „ა„ და „ბ„ ბლოკების არქიტექტურული პროექტი. შპს „სიგმალაინი“-ს და ი.მ.ა „ბოჭორმა“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე №6/184 ბრძანებით შეთანხმდა კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა „ა“ ბლოკის მშენებლობის ნებართვა, აღნიშნულ მშენებლობის ნებართვას მოქმედების ვადა გაუგრძელდა

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 72 22 22 ფაქს. (+995 32) 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

2013 წლის 21 მარტის ჩათვლით. ხოლო 16.03.10 წ. №01/17/13/041/016 საკადასტრო ერთეულზე გაცემულ იქნა №6/568 მშენებლობის ნებართვა სადაც დამკვეთად მიეთითა შპს „ბოჭორმა“. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ 07.03.11 წელს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა შეიტანა ცვლილება №კ-1/15 ქალაქთმშენებლობითი პირობებში, რომლის საფუძველზეც დაემატა ორი ახალი საკადასტრო გეგმა - საკადასტრო კოდი: - №01/17/13/041/017; №01/17/13/041/016. პირველ საკადასტრო ერთეულზე დამკვეთად მიეთითა შპს „სიგმა-ლაინი“, მეორეზე კი ი.მ.ა „ბოჭორმა“.

შპს „სიგმა გეო“-ს დირექტორის ჯ. აბელაშივილის მიერ წარმოდგენილია 25.06.11 წლის №110171663 ხელშეკრულება ქონების გადაცემის შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულებით შპს „სიგმა ლაინი“ შპს „სიგმა გეოს გადასცემს თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირ/ ბოჭორმის ქუჩა №50/18-ში არსებულ უძრავ ქონებას საწესდებო კაპიტალში შესატანად. შპს „სიგმა გეო“-ს ასევე გადაეცა ზემოაღნიშნულ სამშენებლო მიწის ნაკვეთზე განთავსებული მშენებარე შენობა-ნაგებობები და სამშენებლო დოკუმენტაცია.

მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 99-ე მუხლის თანახმად, იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ვარგისად აღიარებული, ვრცელდება განცხადების შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა. ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირ/ ბოჭორმის ქუჩა №50/18-ში, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა დაწყებულია 2006 წელს, შესაბამისად მასზე ვრცელდება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილების მოთხოვნები, რომლის თანახმადაც, დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც გააჩნია ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

ვინაიდან, ქეთევან წამებულის გამზირ/ბოჭორმის ქუჩა №50/18-ში არსებულ უძრავ ქონება (საკადასტრო კოდი: №01/17/13/041/017) და მასთან დაკავშირებული

საპროექტო დოკუმენტაცია შედის შპს „სიგმა გეო“-ს საწესდებო კაპიტალში სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია შეიტანოს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 28.02.08 წ. №6/184 ბძანებაში და დამკვეთად ნაცვლად შპს „სიგმა ლაინი“-ს მიუთითოს შპს „სიგმა გეო“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 99-ე მუხლის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მტავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილებისა და „ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის №194 განკარგულების თანახმად

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს შპს „სიგმა გეო“-ს დირექტორის ჯ. აბელაშვილის 2011 წლის 06 ივნისის №12/65976-13 განცხადება;

2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 28.02.08 წ. №6/184 ბრძანებაში და 6/184-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში, კერძოდ: დამკვეთად შპს „სიგმა ლაინი“-ს ნაცვლად მიეთითოს შპს „სიგმა გეო“;

3. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 28.02.08 წ. №6/184 ბრძანებაში და 6/184-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში, კერძოდ: საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს №01/17/13/041/017;

4. საპროექტო დოკუმენტაციას დაერთოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი უძრავი ქონების გადაცემის ხელშეკრულებები;

5. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 28.02.08 წ. №6/184 ბრძანებასა და 6/184-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობასთან ერთად;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;

სამსახურის უფროსი არისი ბოჭოიძე

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 322

28 თებერვალი 2011 წ.

ქ. თბილისში, ქ. წამებულის გამზირსა და ბოჭორმას ქ. №50/18-ში არსებულ მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01/17/13/041/017), ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, “ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების, ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2011 წლის 16 თებერვლის სხდომის №6 ოქმის შესაბამისად:

1. ქ. თბილისში, ქ. წამებულის გამზირსა და ბოჭორმას ქ. №50/18-ში არსებულ მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01/17/13/041/017), ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=6,0.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს ”ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და ”ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს ა. ბოჭოიძეს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი უგულავა

თბილისის არქიტექტურა

ბრძანება № 961

" 18 " 03 2011

07.03.11 წლის ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №803 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

2011 წლის 11 მარტს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს №07/8837-13 განცხადებით მომართა შპს „სიგმა-ლაინი"-ს წარმომადგენელმა ჯ. აბელაშვილმა და მოითხოვა 07.03.11 წლის ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №803 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 31.03.06 წელს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ ქალაქ თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ქ. წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქუჩა №50/18-ში მრავალფუნქციური კომპლექსის ასაშენებლად დადგინდა №კ-1/15 ქალაქთმშენებლობითი პირობები. ზემოაღნიშნული ქალაქთმშენებლობითი პირობები გაცემულია 16 930კვ.მ მიწის ნაკვეთზე, №1/17/13/41/6 საკადასტრო ერთეულზე.

03.02.11 წელს სამსახურს მომართა შპს „სიგმა ლაინი"-ს წარმომადგენელმა ჯ. აბელაშვილმა. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი იქნა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის თანახმადაც №1/17/13/41/6 საკადასტრო ერთეული გაიყო ორად - №01/17/13/41/017 და №01/17/13/41/016. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ საჯარო რეესტრის ამონაწერების საფუძველზე №803 ბრძანებით შეტანილი იქნა ცვლილება №კ-1/15 ქალაქთმშენებლობითი პირობებში. შეიცვალა საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდები და დაერთო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. თუმცა №803 ბრძანების მე-2 პუნქტში შპს „სიგმა-ლაინი"-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი მითითებულ იქნა შეცდომით - ნაცვლად №01/17/13/41/017 დაფიქსირდა №01/17/13/41/071.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია 07.03.11 წლის №803 ბრძანებაში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 72 22 22 ფაქს. (+995 32) 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს შპს „სიგმა-ლაინი“-ს წარმომადგენლის ჯ აბელაშვილის 2011 წლის 11 მარტის №07/8837-13 განცხადება;

2. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა 07.03.11 წლის ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №803 ბრძანებაში, კერძოდ: საკადასტრო კოდი ნაცვლად №01/17/13/41/071 დაფიქსირდეს №01/17/13/41/017;

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს 07.03.11 წლის ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №803 ბრძანებასთან ერთად;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: ჟ. შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

სამსახურის უფროსი არისი ბოჭოიძე

თბილისის არქიტექტურა

ბრძანება № 803

" 07 " 03 2011

31.03.06 წელს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის №კ-1/15 ქალაქთმშენებლობითი პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

31.03.06 წელს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ ქალაქ თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ქ. წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქუჩა №50/18-ში მრავალფუნქციური კომპლექსის ასაშენებლად დადგინდა №კ-1/15 ქალაქთმშენებლობითი პირობები.

03.02.11 წელს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს №07/8837-13 განცხადებით მომართა შპს „სიგმა-ლაინის წარმომადგენელმა ჯ. აბელაშვილმა და მოითხოვა ზემოაღნიშნულ ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ: ერთი საკადასტრო ერთეულის ნაცვლად, ორი საკადასტრო ერთეულის დაფიქსირება შესაბამისი მესაკუთრეების მითითებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ №კ-1/15 ქალაქთმშენებლობითი პირობები გაცემულია 16 930კვ.მ მიწის ნაკვეთზე, №1/17/13/41/6 საკადასტრო ერთეულზე. საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციური ზონაა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა. რომლისთვისაც დადგენილი იყო შემდეგი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები – კ-1=0.8; კ-2=4.0; კ-3=0.10. 2008 წლის 3 ივლისს „ქალაქ თბილისის ტერიტორიების განაშენიანების საკითხთა კომისიამ“ განიხილა ქალაქ თბილისში, ბოჭორმის ქუჩა №50/18-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის საკითხი და მიზანშეწონილად მიიჩნია განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის 4.3-მდე გაზრდა.

ზემოაღნიშნული პარამეტრების გათვალისწინებთ, 05.08.06 წელს ქალაქ თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ქეთევან წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქუჩა №50/18-ში №20/534 ბრძანებით შეთანხმდა „ა„ და „ბ„ ბლოკების არქიტექტურული პროექტი. მოგვიანებით, 2006 წლის 4 დეკემბერს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის №20/1053 და 2009 წლის 5 ივნისის ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №01/701 ბრძანებებით განხორციელდა ზემოაღნიშნული პროექტის კორექტირებები.

ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქუჩა №50-18-ში არსებული მიწის ნაკვეთი გაიყო ორ საკადასტრო ერთეულად - №01/17/13/41/017 და №01/17/13/41/016. სამსახურში წარმოდგენილია შპს „სიგამ-ლაინის“ წარმომადგენელსა და ი.ბ.ა „ბოჭორმა“-ს თავმჯდომარეს შორის შედგენილი ურთიერთშეთანხმების ოქმი. აღნიშნული ოქმის საფუძველზე დგინდება, რომ 4943 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდით №01/17/13/41/017) შეთანხმებული „ა“ ბლოკის პროექტით წარმოადგენს შპს „სიგმა-ლაინი“-ს საკუთრებას, ხოლო „ბ„ ბლოკი 11987 კვ.მ მიწის ნაკვეთით წარმოადგენს ი.ბ.ა „ბოჭორმი“-ს საკუთრებას. 2011 წლის 31 იანვრის

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. მარტყოფის 7
ტელ. (+995 32) 72 22 22 ფაქს. (+995 32) 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

ურთიერთშეთანხმების ოქმით მხარეები თანხმობას აცხადებენ, რომ სამეზობლო საზღვარზე – საზღვართან არსებული შენობის აივნები, ღიობები და მიწისქვეშა ავტოსადგომები დარჩეს შეთამხმებული პროექტის შესაბამისად.

სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ გამიჯვნის შედეგად „ა“ ბლოკმა განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ზრდის გამო შეიძინა „იძულებით შეუსაბამო ობიექტის“ სტატუსი. ქალაქ თბილისის მერის 2011 წლის 28 თებერვლის №322 განკარგულებით სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე №01/17/13/04/017 საკადასტრო ერთეულს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განესაზღვრა კ-2=6.0.

„ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილების თანახმად, თუ წარმოება დაწყებულია წინამდებარე წესების ძალაში შესვლამდე მაშინ მასზე ვრცელდება განცხადების შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა. №კ-1/15 ქალაქთმშენებლობითი პირობები გაცემულია ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის პირველი აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილების შესაბამისად, რომლის თანახმადაც უფლებრივი ზონირების სავალდებულო რუკების, როგორც ადგილობრივი სამართლებრივი აქტების, მიღების შემდგომ უფლებრივი ზონირებით მოცული ტერიტორიების ფარგლებში არსებული ის ცალკეული მიწის ნაკვეთები, შენობები და ნაგებობები, რომელთა ამ წესების მოთხოვნებთან შეუსაბამობა განპირობებულია გარემოებებით (მიწის ნაკვეთის ფართი, კონფიგურაცია, ხაზოვანი ზომები), რომლებიც გამორიცხავენ მათი შესაბამისობაში მოყვანის შესაძლებლობას, იძენენ იძულებით შეუსაბამო უძრავი ობიექტების იურიდიულ სტატუსს. ასეთი ტერიტორიებისათვის ხდება ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა, რომლებიც უნდა ითვალისწინებდეს ტერიტორიის ეფექტური გამოყენების შესაძლებლობას, არ უნდა ლახავდეს სხვა მესაკუთრეთა ინტერესებს და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს არსებული განაშენიანების გეგმარებით, მოცულობით-სივრცით და ესთეტურ პარამეტრებს.

№01/17/13/41/017 საკადასტრო ერთეულს „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის დადებითი დასკვნის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მერის 2011 წლის 28 თებერვლის №322 განკარგულებით მოემატა განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ-2. ხოლო მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრისგან მიიღო თანხმობა, რათა მან შეთანხმებული პროექტის საფუძველზე აწარმოოს სამშენებლო სამუშაოები.

ამასთანავე, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის №140 დადგენილების თანახმად არქიტექტურული პროექტის დამუშავება ხდება ქალაქთმშენებლობითი პირობების საფუძველზე, რაც იმას ნიშნავს რომ არქიტექტურული პროექტი უნდა შეესაბამებოდეს ქალაქთმშენებლობით პირობებს, ხოლო ქალაქთმშენებლობით პირობებში უნდა აისახოს საპროექტო მიწის ნაკვეთის მახასიათებლები.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია, დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და შეიტანოს ცვლილება 31.03.06 წელს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის №კ-1/15 ქალაქთმშენებლობით პირობებში.

შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე; 96-ე მუხლების, მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 99-ე მუხლის, ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილებისა და „ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მერიის

ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის №194 განკარგულების თანახმად

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს შპს „სიგმა-ლაინი“-ს წარმომადგენლის ჯ. აბელაშვილის 2011 წლის 03 თებერვლის №07/8837-13 განცხადება;

2. შევიდეს ცვლილება 31.03.06 წლის ქალაქ თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის №კ-1/15 ქალაქთმშენებლობით პირობებში, კერძოდ დამკვეთი/მენაშენედ მიეთითოს შპს „სიგმა-ლაინი“ - №01/17/13/041/071 საკადასტრო ერთეულზე და ი.ბ.ა „ბოჭორმა“ - №01/17/13/041/016 საკადასტრო ერთეულზე;

3. 31.03.06 წლის ქალაქ თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის №კ-1/15 ქალაქთმშენებლობით პირობებში სამშენებლო ტერიტორიის საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს - №01/17/13/041/017 მიწის ნაკვეთის ფართით 4943 კვ.მ ; №01/17/13/041/016 მიწის ნაკვეთის ფართით 11 987 კვ.მ;

4. 31.03.06 წლის ქალაქ თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის №კ-1/15 ქალაქთმშენებლობით პირობებს დაემატოს №01/17/13/041/017; №01/17/13/041/016 საკადასტრო გეგმები, 2011 წლის 31 იანვრის ურთიერთ შეთანხმების ოქმი (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №110094153) და ქალაქ თბილისის მერის 2011 წლის 28 თებერვლის №322 განკარგულება;

5. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს 31.03.06 წლის ქალაქ თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის №კ-1/15 ქალაქთმშენებლობით პირობებთან ერთად;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

სამსახურის უფროსი არისი ბოჭოიძე

თბილისის არქიტექტურა

ბრძანება № 908

" 16 " 03 2011

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 28 თებერვალს გაცემულ №6/184 ბრძანებაში და №6/184-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ.

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 04 დეკემბერს შეთანხმდა ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ქ. წამებულის გამზ/ბოჭორმის ქ. №50/18-ში, მოქალაქე ბესარიონ კეიდიას საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის №20/534 ბრძანებით შეთანხმებული მრავალფუნქციური კომპლექსის (საოფისე, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საცხოვრებელი, სტადიონი და სხვა) საცხოვრებელი და სავაჭრო-საყოფაცხოვრებო ბლოკების („ა" და „ბ" ბლოკები) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. 2008 წლის 27 თებერვალს შევიდა ცვლილება ზემოაღნიშნულ №20/1053 ბრძანებაში, კერძოდ: დამკვეთად დაფიქსირდა შპს „სიგმა ლაინი" და ი.ბ.ა „ბოჭორმა". 2008 წლის 28 თებერვალს „ა" და „ბ" ბლოკების კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე №6/184 ბრძანებით გაიცა „ა" ბლოკის მშენებლობის ნებართვა და №6/184-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა, რომელიც ძალაშია 2011 წლის 14 მარტამდე. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 07 მარტს №803 ბრძანებით შევიდა ცვლილება და დამატება 31.03.06წ. ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემულ №კ-1/15 ქალაქთმშენებლობით პირობებში, ერთი საკადასტრო ერთეულის ნაცვლად დაფიქსირდა ორი საკადასტრო ერთეული შესაბამისი მესაკუთრეების მითითებით, კერძოდ: №01/17/13/041/017 საკადასტრო ერთეულზე დამკვეთი/მენაშენედ მიეთითა შპს „სიგმა ლაინი", ხოლო №01/17/13/041/016 საკადასტრო ერთეულზე დამკვეთი/მენაშენედ მიეთითა ი.ბ.ა. „ბოჭორმა".

ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2011 წლის 07 მარტს №12/21312-13 განცხადებით მომართა შპს „სიგმა ლაინი"-ს წარმომადგენელმა (ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა №110222059 11.03.11წ.) ჯემალ აბელაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 28 თებერვლის №6/184 ბრძანებაში და №6/184-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების განხორციელება.

სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს – შევიდეს ცვლილება 28.02.2008წ. №6/184 ბრძანებასა და №6/184-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში და მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2013 წლის 21 მარტის ჩათვლით.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 72 22 22 ფაქს. (+995 32) 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

თანახმად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლისა, ასევე საქართველოს მთავრობის 11.08.05 წლის №140-ე დადგენილების მე-5 თავისა, ასევე „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილების 99-ე მუხლისა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილებისა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 28 თებერვლის №6/184 ბრძანებაში და №6/184-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში, კერძოდ: ბრძანების მე-2 პუნქტში, მშენებლობის ვადის განსაზღვრის ჩანაწერი „მშენებლობის ვადა განისაზღვროს **2011 წლის 14 მარტამდე**“, შეიცვალოს ჩანაწერით „მშენებლობის ვადა განისაზღვროს **2013 წლის 21 მარტის ჩათვლით**“ და აღიშნული აისახოს №6/184-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში.

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 04.12.2006წ. №20/1053, 27.02.2008წ. №113, 28.02.2008წ. №6/184 ბრძანებებთან და №6/184-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობასთან ერთად.

3. აღნიშნულის შესახებ ეცნობოს განმცხადებელს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

III და IV კლასის შენობა-ნაგებობების
სანებართვო განყოფილების უფროსი – კ. ნიაური

07/8837

09.03.11

ბრძანება № 803

07 " 03 2011

თბილისის არქიტექტურა

31.03.06 წელს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის №კ-1/15 ქალაქთმშენებლობითი პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

31.03.06 წელს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ ქალაქ თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ქ. წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქუჩა №50/18-ში მრავალფუნქციური კომპლექსის ასაშენებლად დადგინდა №კ-1/15 ქალაქთმშენებლობითი პირობები.

03.02.11 წელს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს №07/8837-13 განცხადებით მომართა შპს „სიგმა-ლაინის წარმომადგენელმა ჯ. აბელაშვილმა და მოითხოვა ზემოაღნიშნულ ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ: ერთი საკადასტრო ერთეულის ნაცვლად, ორი საკადასტრო ერთეულის დაფიქსირება შესაბამისი მესაკუთრეების მითითებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ №კ-1/15 ქალაქთმშენებლობითი პირობები გაცემულია 16 930კვ.მ მიწის ნაკვეთზე, №1/17/13/41/6 საკადასტრო ერთეულზე. საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციური ზონაა 'საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა. რომლისთვისაც დადგენილი იყო შემდეგი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები – კ-1=0.8; კ-2=4.0; კ-3=0.10. 2008 წლის 3 ივლისს „ქალაქ თბილისის ტერიტორიების განაშენიანების საკითხთა კომისიამ“ განიხილა ქალაქ თბილისში, ბოჭორმის ქუჩა №50/18-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის საკითხი და მიზანშეწონილად მიიჩნია განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის 4.3-მდე გაზრდა.

ზემოაღნიშნული პარამეტრების გათვალისწინებით, 05.08.06 წელს ქალაქ თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ქეთევან წამებულის 'გამზირი/ბოჭორმის ქუჩა №50/18-ში №20/534 ბრძანებით შეთანხმდა „ა„ და „ბ„ ბლოკების არქიტექტურული პროექტი. მოგვიანებით, 2006 წლის 4 დეკემბერს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის №20/1053 და 2009 წლის 5 ივნისის ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №01/701 ბრძანებებით განხორციელდა ზემოაღნიშნული პროექტის კორექტირებები.

ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქუჩა №50-18-ში არსებული მიწის ნაკვეთი გაიყო ორ საკადასტრო ერთეულად - №01/17/13/41/017 და №01/17/13/41/016. სამსახურში წარმოდგენილია შპს „სიგამ-ლაინის“ წარმომადგენელსა და ი.ბ.ა „ბოჭორმა“-ს თავმჯდომარეს შორის შედგენილი ურთიერთშეთანხმების ოქმი. აღნიშნული ოქმის საფუძველზე დგინდება, რომ 4943 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდით №01/17/13/41/017) შეთანხმებული „ა“ ბლოკის პროექტით წარმოადგენს შპს „სიგმა-ლაინი“-ს საკუთრებას, ხოლო „ბ„ ბლოკი 11987 კვ.მ მიწის ნაკვეთით წარმოადგენს ი.ბ.ა „ბოჭორმი“-ს საკუთრებას. 2011 წლის 31 იანვრის

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ქ შარტავას 7
ტელ. (+995 32) 72 22 22 ფაქს. (+995 32) 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

ურთიერთშეთანხმების ოქმით მხარეები თანხმობას აცხადებენ, რომ სამეზობლო საზღვარზე – საზღვართან არსებული შენობის აივნები, ღიობები და მიწისქვეშა ავტოსადგომები დარჩეს შეთამხმებული პროექტის შესაბამისად.

სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ გამიჯვნის შედეგად „ა“ ბლოკმა განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ზრდის გამო შეიძინა „იძულებით შეუსაბამო ობიექტის“ სტატუსი. ქალაქ თბილისის მერის 2011 წლის 28 თებერვლის №322 განკარგულებით სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე №01/17/13/04/017 საკადასტრო ერთეულს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განესაზღვრა კ-2=6.0.

„ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილების თანახმად, თუ წარმოება დაწყებულია წინამდებარე წესების ძალაში შესვლამდე მაშინ მასზე ვრცელდება განცხადების შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა. №კ-1/15 ქალაქთმშენებლობითი პირობები გაცემულია ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის პირველი აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილების შესაბამისად, რომლის თანახმადაც უფლებრივი ზონირების საეალდებულო რუკების, როგორც ადგილობრივი სამართლებრივი აქტების, მიღების შემდგომ უფლებრივი ზონირებით მოცული ტერიტორიების ფარგლებში არსებული ის ცალკეული მიწის ნაკვეთები, შენობები და ნაგებობები, რომელთა ამ წესების მოთხოვნებთან შეუსაბამობა განპირობებულია გარემოებებით (მიწის ნაკვეთის ფართი, კონფიგურაცია, ხაზოვანი ზომები), რომლებიც გამორიცხავენ მათი შესაბამისობაში მოყვანის შესაძლებლობას, იძენენ იძულებით შეუსაბამო უძრავი ობიექტების იურიდიულ სტატუსს. ასეთი ტერიტორიებისათვის ხდება ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა, რომლებიც უნდა ითვალისწინებდეს ტერიტორიის ეფექტური გამოყენების შესაძლებლობას, არ უნდა ლახავდეს სხვა მესაკუთრეთა ინტერესებს და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს არსებული განაშენიანების გეგმარებით, მოცულობით-სივრცით და ესთეტურ პარამეტრებს.

№01/17/13/41/017 საკადასტრო ერთეულს „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის დადებითი დასკვნის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მერის 2011 წლის 28 თებერვლის №322 განკარგულებით მოემატა განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ-2. ხოლო მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრისგან მიიღო თანხმობა, რათა მან შეთანხმებული პროექტის საფუძველზე აწარმოოს სამშენებლო სამუშაოები.

ამასთანავე, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის №140 დადგენილების თანახმად არქიტექტურული პროექტის დამუშავება ხდება ქალაქთმშენებლობითი პირობების საფუძველზე, რაც იმას ნიშნავს რომ არქიტექტურული პროექტი უნდა შეესაბამებოდეს ქალაქთმშენებლობით პირობებს, ხოლო ქალაქთმშენებლობით პირობებში უნდა აისახოს საპროექტო მიწის ნაკვეთის მახასიათებლები.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია, დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და შეიტანოს ცვლილება 31.03.06 წელს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის №კ-1/15 ქალაქთმშენებლობით პირობებში.

შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე; 96-ე მუხლების, მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 99-ე მუხლის, ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილებისა და „ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მერიის

ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე" ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის №194 განკარგულების თანახმად

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს შპს „სიგმა-ლაინი"-ს წარმომადგენელის ჯ. აბელაშვილის 2011 წლის 03 თებერვლის №07/8837-13 განცხადება;

2. შეეიდეს ცვლილება 31.03.06 წლის ქალაქ თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის №კ-1/15 ქალაქთმშენებლობით პირობებში, კერძოდ დამკვეთი/მენაშენედ მიეთითოს შპს „სიგმა-ლაინი" - №01/17/13/041/071 საკადასტრო ერთეულზე და ი.ბ.ა „ბოჭორმა" - №01/17/13/041/016 საკადასტრო ერთეულზე;

3. 31.03.06 წლის ქალაქ თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის №კ-1/15 ქალაქთმშენებლობით პირობებში სამშენებლო ტერიტორიის საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს - №01/17/13/041/017 მიწის ნაკვეთის ფართით 4943 კვ.მ ; №01/17/13/041/016 მიწის ნაკვეთის ფართით 11 987 კვ.მ;

4. 31.03.06 წლის ქალაქ თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის №კ-1/15 ქალაქთმშენებლობით პირობებს დაემატოს №01/17/13/041/017; №01/17/13/041/016 საკადასტრო გეგმები, 2011 წლის 31 იანვრის ურთიერთ შეთანხმების ოქმი (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №110094153) და ქალაქ თბილისის მერის 2011 წლის 28 თებერვლის №322 განკარგულება;

5. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს 31.03.06 წლის ქალაქ თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის №კ-1/15 ქალაქთმშენებლობით პირობებთან ერთად;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

სამსახურის უფროსი არისი ბოჭოიძე

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური

"25" 02 2008 წ. ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 5/154

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ქეთევან წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქუჩა №50/18, შ.პ.ს. "სიგმა ლაინი"-ს და ი.ბ.ა. "ბოჭორმა"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის (საოფისე, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საცხოვრებელი, სტადიონი და სხვა) A და B ბლოკის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე A ბლოკის მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ

საშუძველი: - საკადასტრო რუკა, სარეგისტრაციო № 1/17/13/41/015, და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, სარეგისტრაციო №882008032277 11/02/2008წ.
- ქალაქმშენებლობითი პირობები №ქ-1/15; 30.03.06წ.
